

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №35155

2020 წლის 27 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12):

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი¹“ ქვეპუნქტი:

„ი¹) საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭებისათვის პირის განცხადების განხილვას, მის შესახებ მონაცემების დამუშავება-ანალიზს, შესაბამისი პირობების შემოწმებას/მონიტორინგს და საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭებას, მინიჭებაზე უარის თქმას, ამ უფლების შეჩერებას/გაუქმებას;“;

ბ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ¹“ ქვეპუნქტი:

„კ¹) იღებს გადაწყვეტილებას საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭების, მინიჭებაზე უარის თქმის, ამ უფლების შეჩერების ან/და გაუქმების შესახებ;“;

გ) 22-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ¹“ ქვეპუნქტი:

„დ¹) საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭებისათვის პირის განცხადების განხილვა-ანალიზი, მის შესახებ მონაცემების დამუშავება, შესაბამისი პირობების შემოწმება, მონიტორინგი და საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭების, მინიჭებაზე უარის თქმის, ამ უფლების შეჩერების ან/და გაუქმებისათვის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფა;“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

